ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1615230

ნომერი: AR1265589

თარიღი : 13.11.2014

გაცემის თარიღი : 27.11.2014

გაცნობის თარიღი : 08.05.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) N37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვერონიკა არუთინიანი პ/ნ 01013007178
- თბილისი ვარკეთილის მას. IV მ/რ II რიგი კორ. 6 ბ. 26

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1265589 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, 01.15.05.089.008 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობას.

გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. N37–ში, შპს "თბილისის ხედი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე(საკადასტრო კოდი N 01.15.05.089.008) სამსახურის მიერ 2014 წლის 26 ნოემბრის №1611996

ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან ნებართვა სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1252243 განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7) მათი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.